საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №43
2021 წლის 23 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებით (ვებგვერდი, 16/01/2018; სარეგისტრაციო კოდი: 280120000.22.026.016549) დამტკიცებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 31^1-ე მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 31^2 მუხლი:

„მუხლი 31^2

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „უცხო ქვეყანაში უმცროს ოფიცერთა მოსამზადებელ კურსებზე სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიიდან წარგზავნილ მსმენელთა ჯგუფის“ მსმენელებს, რომლებიც სასწავლებლად არიან წარგზავნილნი უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ყოველთვიურად მიეცემათ მხოლოდ ფულადი სარგო 276 (ორას სამოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.“.

2. 41-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ყოველთვიურად უწესდებათ მხოლოდ ფულადი სარგო და ამ ბრძანებით ან მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი კრიტერიუმებით განსაზღვრული დანამატები მათი ფაქტობრივი წოდების შესაბამისად, თუ სასწავლებელში ჩარიცხვამდე პირი იმყოფებოდა:

ა.ა) რეზერვისტთა აღრიცხვაზე;

ა.ბ) წვევამდელთა აღრიცხვაზე და სასწავლებელში ჩარიცხვასთან ერთად გახდა საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ჯუანშერ ბურჭულაძე**